

აზიური თეთრი პავლეა

აზიანებს მცენარეთა ფოთლებს და ყლორტებს. ბრძოლა: ჩამოცვენილი ფოთლებისა და ნახსლაყი მასის შეგროვება და დანვა. ქიმიური მეთოდი: კარატე, კარატე ზეონი 0,2ლ/ჰა, ვალსამბა 0,25-0,45 ლ/ჰა, დეცისი, დეცის ბლუ 0,5-0,7 ლ/ჰა.

თხილის ცხვირბრძოლა



ხოჭოს ფაზაში აზიანებს კვირტს, ნასკეს, ყლორტს, ხოლო მატლი - ნაყოფს. ბრძოლა: მაისის პირველ დეკადაში ფასტაკის 0,02% ან ბი 58 -0,15% ხსნარი.

თხილის შავი ხარაბუხა

აზიანებს გამერქნიანებულ ორგანოებს დაზიანებული ყლორტები ხმება. ბრძოლა: ტოტებისა და ყლორტების შექრა დაზიანებული ადგილებიდან 10-15 სმ-ის ქვემოთ და დანვა. ქიმიური მეთოდით ღურსბანი 1,5-2,0 ლ/ჰა.



თხილის ნაგარი

აზიანებს თხილს ზაფხულის დასაწყისიდან, ფოთლებზე, ყლორტებზე, ყვავილებზე, ნაყოფზე ჩნდება ნაცრისფერი ფიფქი, დაავადებული ფოთლები ყვითლდება, მალე ხმება და ნაადრევად ცვივა. ბრძოლა: გაზაფხულზე და ზაფხულზე შეინამლოს კუმულუსით 0,3% ან ვივიანტიით 0,2% ან სტროპით 0,015%.

გასკოვდით!

- ქიმიური საშუალებების გამოყენებისას დაცავით უსაფრთხოების ზომები და გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.
- დაცავით ლოდინის ვადა, რაც იმას იმნავს, რომ ბოლო ქიმიური ნაშრობის შემდეგ 20 დღის განმავლობაში დაშუშებული ფართობიდან ნაყოფის გამოყენება არ შეიძლება.


კონსულტაციისათვის მიმართეთ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა) იპ „აგროსერვის ცენტრს“. ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქუჩა №46ა.



ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის
კონსულტანტი

მთარ ქობალია - ქ. ბათუმი 599 54 69 62
ნუგზარ მძრპირიძე - ქ. ბათუმი 599 89 89 50

ვისაპათი: სპაქათველო, ბათუმი, 6010,
ი. გომეგაშვილის ქუჩა № 46
გელ.: +995 (422) 27 96 02
www.agroc.ge
მხელი ხაზი: +995 599 54 69 84



თხილი

თხილის კულტურის გაშენება,
მოვლა და მავნებლებზე
დაზიანებებისგან ბრძოლის
ლოგისტიკა



თხილი ერთ-ერთი უძველესი, ძვირფასი და შემოსავლიანი კაკლოვანი კულტურაა.

გავრცელება

თხილის ფართობი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. მისი გავრცელების პირველ კვრად აღიარებულია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო, კავკასია და მცირე აზია. იგი ფართოდ გავრცელებულია თურქეთში, იტალიაში, ესპანეთში, ინგლისში, გერმანიაში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში.

ჯიშები

საქართველოში დარაიონებულია თხილის შემდეგი ჯიშები: გულშიშველა, ანაკლიური (ფუთქურამი), შველისყურა, ხაჭაპურა, ცხენის ძუძუ, ნემსა, დედოფლის თხილი (დაშსკი პალჩიკი), განჯა, ჩხიკვისთავა, ათა-ბათა და სხვა.



გაშენება

თხილის გასაშენებელი ფართობის შერჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს ადგილის რელიეფს, ზღვის დონიდან სიმაღლეს, გრუნტის წყლის დონეს. ამასთანავე უნდა ვიცოდეთ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ნალექების რაოდენობა ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა, ქარის სიმძლავრე და სიხშირე. ჰაერის მინიმალური ტემპერატურა არ უნდა ეცემოდეს $-23-25^{\circ}\text{C}$ -მდე. თხილი ეგუება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგს გარდა მძიმე თიხნარი და დაჭაობებული ადგილებისა. კარგად ხარობს კარგი აერაციის, ტენიან, ორგანულ ნივთიერებით მდიდარ ნიადაგებზე. ხოლო ნიადაგის მჟავიანობა უნდა იყოს $\text{PH } 5,5-8,0$ - მდე. ვაკე და

5-7^o დაქანების ნაკვეთებზე მცენარეების განლაგება, კვების არე იცვლება ნიადაგის ტიპის, მცენარის ჯიშის, ნიადაგის ნაყოფიერების, ადგილმდებარეობის და ბაღში ჩასატარებელ სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებების მიხედვით, სქემით: 5x3, 5x4, 5x5, 4x4, 4x3, ხოლო დიდი დაქანების ფერდობებზე რეკომენდირებულია ტერასების მოწყობა.

ბაღის გასაშენებლად ნიადაგის მომზადება მოიცავს შემდეგ აგროტექნიკურ სამუშაოებს: პლანტაჟი, ჯვარედინი გადახვნა, დადისკვა, დაფარცხვა, დაგვამარება, რომელიც იწყება აგვისტოს მეორე ნახევრიდან და მთავრდება ოქტომბრის ბოლოს. დასარგავი ორმოს სიდიდე 40x50x50 სმ-ია, სადაც შეაქეთ 10-15 კგ ორგანული სასუქი, 100გ ფოსფოროვანი და 60გ კალიუმის სასუქი. ორმოში ირგვება ერთი ან ორნაღიანი სტანდარტული ნერგი. თხილის გაშენების აგროვადია 15 ნოემბრიდან 15 იანვრამდე, რემონტი ტარდება ადრე გაზაფხულზე. დარგვისას ნერგის ფესვის ყელი უნდა დაიფაროს მინით 7-10 სმ-ის სიმაღლეზე.



მოვლა

ახლაგაშენებულ ბაღებში თხილის მოვლა შემდეგ წლებში ითვალისწინებს პერიოდულ საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოებს: თხილის ძირების შემობარვა, ორ-სამჯერ შემოთოხნა და ორგანულ-მინერალური სასუქების გამოყენება. მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ ერთ ბუჩქზე შეიტანება 20-30 კგ ორგანული სასუქი, მინერალური სასუქების შეტანის ნორმა $\text{N}_{60}\text{P}_{60}\text{K}_{30}$ კგ/ჰა-ზე. თხილისთვის ბუჩქის ფორმის მიცემა იწყება დარგვისთანავე, სისტემატურად

ხდება ახალი ამონაყრების გამეჩხრება იმ გათვლით, რომ სრულმოსავლიან ბუჩქს ჰქონდეს 7-12 კარგად განვითარებული ძლიერი ტოტი.

თხილის გაწვავა დაავადებები

თხილის კულტურაზე საქართველოში 100-ზე მეტი სახეობის მავნებელ-დაავადება დაფიქსირებული. ამთგან ყველაზე მეტად გავრცელებულია შემდეგი მავნებლები: ცხვირგრძობლები, ჩრჩილები, ბუგრები, ფოთოლჭამიები, ხეატარები, მზომელები, აბრეშუმხვევიები, ხერხიები, ტკიპები, ხარაბუხები, ფოთოლხვევიები და სხვა. დაავადებებიდან გავრცელებულია: ნაცარი, ყავისფერი და ნაცრისფერი სიღამპლე, ხავსები, ლიქენები,



რომლებიც აკინებენ მცენარეს და იწვევენ მათ ნაადრევ გახმობას. თხილის მავნებლებიდან განსაკუთრებით დიდი ზიანის მომტანია:

კვირტის ტკიპა

ჭიისებრია, აზიანებს საყვავილე და საფოთლე კვირტებს. ზამთარსა და შემოდგომაზე 15-20 დაზიანებული კვირტების შემჩნევისას იგეგმება ქიმიური პრეპარატებით შენამვლა, ვინაიდან ერთ



კვირტში 30 000 ტკიპა შეიძლება აღმოჩნდეს და ის სწრაფად მრავლდება. ბრძოლა: მაისის პირველ დეკადაში მასაიან ენვიდორი 0,04% ან ომაიტი 0,2% ან ვერტინეკი 0,1%.